განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მიერ ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

გულნარა ხაბურზანია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრ(ებ)ი:

ზვიად ბერიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	202937983

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ჭყონდიდელის ქ., №18; ილია ჭავჭავაძის გამზირი N44(ბ)
საფოსტო ინდექსი	0180
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.gahs.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@gahs.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	597 73-47-23; (+995 32) 269-90-14 / 222-16-16

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 19 ივლისის MES 9 25 0000891162 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 25 ივლისი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2025 წლის 25 ივნისს შემოვიდა წერილი №742723, სადაც მოქალაქე ნ.ს მიუთითებდა შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში სკოლის ადმინისტრაციის კონკრეტული წარმომადგენლების მხრიდან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით განხორციელებულ არაერთ დარღვევაზე.

როგორც განცხადებაში იყო ნათქვამი, 2023 წლის 27 მარტს შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლასა და განმცხადებელ ნ.ს. შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება და ნ. ს. დასაქმდა დაცვის თანამშრომლის პოზიციაზე. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ ლოკაციაზე (ჭყონდიდელის ქ. №18; ილია ჭავჭავაძის გამზირი N44(ბ), აღნიშნული პირისთვის სამუშაო ადგილად თავიდანვე განისაზღვრა ი. ჭავჭავაძის გამზირი N44 (ბ)-ში მდებარე ფილიალი.

განმცხადებლის ინფორმაციით სკოლაში განცორციელდა დარღვევები და გარკვეული დანაშაულიც ადმინისტრაციის კონკრეტული წარმომადგენლების მიერ მის მიმართ. ამასათანავე განცხადებას მან თან დაურთო ვიდეომასალა, როგორც მტკიცებულება თანამშრომლის მიერ მოსწავლეზე განხორციელებულ უხეში მოპყრობის შესახებ. განმცხადებლის მიერ დეტალურად იყო აღწერილი კონკრეტული გარემოებები, რომლითაც იგი ამხელდა სკოლას როგორც თანამშრომელთან (მის მიმართ) მიმართებაში სამსახურეობრივი უფლებების გადამეტებაში, ასევე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებზე არასწორ რეაგირებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წლის 25 ივნისის №742723 წერილით ცენტრში შემოსულ კორესპონდენციაში ასახული გარემოების გამოკვლევის, შემოწმებისა და მათი დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრული სტანდარტის/სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა 2025 წლის 25 ივლისს არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში (ს/კ: 202937983).

სკოლას ჭყონდიდელის ქ. N18-ში მდებარე ფართზე გავლილი აქვს ავტორიზაცია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2022 წლის 28 სექტემბერს). საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას ჭყონდიდელის N18-ში მდებარე კორპუსში განესაზღვრა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 1250 ერთეულით. ამის შემდგომ, სკოლამ შეიძინა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის N44(ბ)

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 542.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე 795.4კვ.მ. ფართის საგანმანათლებლო დანიშნულების შენობა-ნაგებობა და დაექვემდებარა მონიტორინგს ფართის/მისამართის ცვლილების ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში. 2023 წლის 19 ივლისს სკოლამ დამატებით შეიძინა ქ. თბილისში 664.51 კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობა, რომელიც მდებარეობდა ჭავჭავაძის 44(ბ)-ში, შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მომიჯნავე ტერიტორიაზე. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე სკოლამ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გაზარდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 250 მოსწავლით და საერთო რაოდენობა განესაზღვრა 1500 მოსწავლით სამივე საფეხურზე. შესაბამისად ქ.თბილისში ი. ჭავჭავაძის 44 (ბ)-ში მდებარე ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში სწავლება ხორციელდება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი N1281806).

განცხადებაში ასახული გარემოებების შესასწავლად 2025 წლის 19 ივლისის MES 9 25 0000891162 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების მიხედვით, ექსპერტთა მიერ განხორციელდა სკოლის თანამშრომლის განცხადებაში დაფიქსირებული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის შემუშავება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო იმ ვიდეომასალასაც, რაც განმცხადებლის მიერ იყო განცხადებზე დართული პერსონალური მონაცემების დაცვის ყველა წესის დაცვით. მონიტორინგი განხორციელდა 2025 წლის 25 ივლისს, ი. ჭავჭავაძის გამზირი N44 (ბ)-ში მდებარე ფილიალში.

ვიზიტის აღწერა:

განცხადებაში დაფიქსირებული ინფორმაციისა და ვიზიტის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი დაწესებულებაში. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

- ✓ სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი და მასში გაწერილი მექანიზმების განხორციელების უზრუნველყოფა, მათ შორის დისციპლინური გადაცდომის დროს პროცესების თანამიმდევრობა;

- ✓ მარეგულირებელი დოკუმენტაციით განსაზღვრული სკოლის მიერ პერსონალის, მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლის უფლების დაცვის განხორციელება და სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობა;
- ✓ პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების არსებობა და ამ მექანიზმის განხორციელება;
- ✓ სკოლის სტრუქტურა, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და მათი აღსრულება;
- ✓ თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების ფაქტების არსებობა, საჩივრების განხილვის სისტემის არსებობა და საჩივრების განხილვის პროცესი;
- ✓ სკოლაში პერსონალური მონაცემების მექანიზმების უზრუნველყოფა;
- ✓ სკოლის ფსიქოლოგიური და ემოციური გარემო.
- ✓ მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები;

ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა სასკოლო დოკუმენტაცია, შემოწმდა დღის წესრიგსა და მონიტორინგის ბრძანებაში ასახული საფუძვლების ირგვლივ არსებული საკითხები. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის პერსონალი უკვე შვებულებაში იმყოფებოდა და ვიზიტიც არაგეგმიური იყო, სასკოლო საზოგადოებასთან და თავად განცხადების ავტორსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან ინტერვიუ განხორციელდა ადგილზეც და დისტანციურად.
დასკვნის პროექტის ამ ნაწილში წარმოგიგდენთ განცხადებაში დაფიქსირებულ შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით ვიზიტის დროს დადგენილ გარემოებებს და მათ შეფასებას, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის სხვა მნიშვნელოვანი მიგნებები და მათთან დაკავშირებულ საკითხები მოცემულია დასკვნის პროექტის ძირითადი ნაწილის რამდენიმე ინდიკატორის აღწერილობაში. განცხადებაში დაფიქსირებული გარემოების შესწავლის პროცესში დადგინდა შემდეგი ფაქტები:

- ➢ განმცხადებელს სკოლაში მუშაობის პერიოდში ოფიციალური საჩივრით ან მოხსენებითი ბარათით წერილობით არ მიუმართავს სკოლისთვის და არ გამოუყენებია კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები. ასევე მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის შესაბამისად დროულად არ მოუხდენია რეაგირება სკოლაში გამოვლენილ დისციპლინარულ შესაძლო გადაცდომაზე. განცხადებაზე თანდართული ვიდეოების შესახებ სკოლის ინფორმირება მოახდინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სკოლის დირექტორის მოადგილესთან ხელი მოაწერა გაფრთხილების ფურცელს მიმდინარე წლის 16 ივნისს (შრომითი ხელშეკრულების გაგრძელება არ მოხდებოდა ვადის ამოწურვის გამო);

- სკოლის ადმინისტრაციისთვის 16 ივნისს მიწოდებული ვიდეომასალისა და სპორტის მასწავლებლის ახსნა-განმარტებითი ბარათის საფუძველზე ამავე მასწავლებელს გამოეცხადა სასტიკი საყვედური (2025 წლის 17 ივნისის ბრძანება N01/კ-10) მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის. სკოლის შინაგანაწესის მუხლი 9, პუნქტი 3-ის ,,გ" ქვეპუნქტის მიხედვით სასტიკი საყვედურის გამოცხადება შესაძლებელია ,,მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების არაერთგზის დარღვევისათვის, რაც ასახული უნდა იყოს სიტყვიერ ან წერილობით გაფორმებულ ადმინისტრაციულ სახდელებში". დაწესებულების მხრიდან მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე ვერ დგინდება აღნიშნული თანამშრომლის მიერ სხვა დროს განხორციელებული პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დისციპლინური სახდელი არ შეესაბამება სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული სახდელის კლასიფიკაციით განსაზღვრულ სიმძიმეს;

*აღნიშნულ პუნქტთან დაკავშირებით **<u>არგუმენტირებული პოზიციის</u>** სახით დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელ ქ.გ-ს ადრეც ჰქონდა დისციპლინური გადაცდომები და შესაბამისად, დაკისრებული ჰქონდა სახდელებიც (2024 წლის 12.12. ბრძანება № 01/კ - 67; 2024 წლის 12.12. ბრძანება № 01/კ - 69). ვიდეოჩანაწერის შედეგად გამოვლენილი დარღვევა წარმოადგენდა მესამე გადაცდომას. სკოლის განმარტებით მისთვის გამოცხადებული სასტიკი საყვედური გამოწვეულია წინა დისციპლინური წარმოების გათვალისწინებით.*

რაც შეეხება დაცვის თანამშრომელ ნ.ს.-ს, რომელსაც გაფრთხილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ უკვე მიღებული ჰქონდა, სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, სკოლის დირექტორი ელოდებოდა მისგან ახსნა-განმარტებას, მაგრამ ვინაიდან მის მიერ არ იქნა ახსნა-განმარტება წარმოდგენილი, სკოლის დირექტორმა არსებული მასალების გათვალისწინებით მოიკვლია საქმის გარემოებები და მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის სახით სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ (2025 წლის 12.08. ბრძანება № 01/კ - 170).

სკოლის დირექტორის ბრძანებები დისციპლინური სანქციის გამოყენების შესახებ, არ შეიცავს დასაბუთებას გადაწყვეტილების მიღების საფუძვლების შესახებ, მნიშვნელოვანია სკოლამ დისციპლინური სანქციის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებაში მიუთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას, ამასთან მნიშვნელოვანია სკოლამ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე,

ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც იქნა გამოკვლეული და შესწავლილი დისციპლინური წარმოების დროს.

გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია დასაქმებულისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი სკოლის შინაგანაწესით, სათანადოდ არის დარეგულირებული დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, *სკოლა ვალდებულია ზედმიწევნით დაიცვას იგი, თავის მხრივ, აღნიშნული ვალდებულება განაპირობებს დაინტერესებულ პირთა კანონიერ მოლოდინს სკოლის მხრიდან კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.*

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სკოლას მიეცა ***რჩევა*** *დისციპლინური წარმოება წარმართოს იმგვარად, რომ იდენტიფიცირებადი იყოს დისციპლინური გადაცდომით გამოწვეული დამდგარი შედეგის სიმძიმე, ვალდებულების დარღვევის მიზეზი, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა და სხვა ფაქტორები. დისციპლინური წარმოების ფარგლებში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება (დასაქმებულის ან/და მოსწავლის მიმართ დისციპლინური სანქციის დაკისრების ან/და დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ) დაასაბუთოს როგორც ფაქტობრივი, ასევე, სამართლებრივი კუთხით.*

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბრძანებები დისციპლინური სახდელების შესახებ შეიცავს ტექნიკურ უზუსტობებს, კერძოდ ბრძანების საფუძველში მითითებულია შინაგანაწესის პუნქტები, რომელსაც დოკუმენტი არ შეიცავს (მე-6 თავის 6.2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი; მე-6 თავის 6.2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი;);

სკოლის მიერ წარმოდგენილი ***არგუმენტირებულ პოზიციის*** *თანახმად, ვიზიტის პერიოდში ექსპერტებისთვის გადაგზავნილი იყო შინაგანაწესის სამუშაო ვერსია. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გადმოაგზავნა ვიზიტის პერიოდში მოქმედი შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტის კონკრეტული პუნქტები სრულად შეესაბამება ბრძანების საფუძველში მითითებულ შინაარსს.* ***ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას*** *და მიიჩნევს, რომ აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი აღმოფხვრილია.*

- სკოლამ წარმოადგინა განმცხადებლის მიერ დირექტორის მოადგილისთვის გაზიარებულ (16.06.2025) ვიდეოფაილში მონაწილე პედაგოგის ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილია ორი მოსწავლის კლასიდან განრიდების

ეპიზოდი მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციის გამო. მასწავლებელმა სკოლის რეგულაციების დაცვით დახმარებისთვის მიმართა უსაფრთხოების თანამშრომელს, რომელმაც მოსწავლე ფსიქოლოგთან მიიყვანა; საგულისხმოა, რომ სკოლისთვის ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეოფაილის არსებობა ცნობილი გახდა მხოლოდ 2025 წლის 16 ივნისს, თავად ჩანაწერი კი გაკეთებულია 2024 წლის 27 მარტს.

- სკოლის შინაგანაწესის მიხედვით (მუხლი 15.13 და მუხლი 16.1.) მოსწავლეს ეკრძალება გაკვეთილზე, არასასწავლო მიზნით, მობილური ტელეფონით, აუდიო და ვიდეო საშუალებებით სარგებლობა (გაკვეთილის მსვლელობისას, არასაგაკვეთილო მიზნით). დოკუმენტი არ ითვალისწინებს ნივთის ჩაბარების ვალდებულებას, თუმცა ამის საპირისპიროდ სკოლაში ტელეფონის ჩაბარება მოსწავლეებისთვის სავალდებულო ხასიათს ატარებდა, რაც დასტურდება როგორც განმცხადებლის მიერ, ასევე სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებთაც. სკოლას ზეპირსიტყვიერად აქვს მშობლებთან შეთანხმება მოსწავლეების მიერ ტელეფონების ჩაბარების თაობაზე, რასაც ადმინისტრაციული მენეჯერის გადმოცემით, მშობლები დადებითად აფასებდნენ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შინაგანაწესით განსაზღვრული წესი მოსწავლის მიერ მობილური ტელეფონის გამოყენების/სარგებლობის შესახებ, შესაბამისობაშია მოსაყვანი სკოლაში მიმდინარე პროცესთან.

სკოლამ გაიზიარა დასკვნის პროექტში გაცემული რჩევა, *რომელიც ეხებოდა სკოლის ტერიტორიაზე მობილური ტელეფონის გამოყენებასთან დაკავშირებით რეგულაციის გამჭვირვალობას, მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ სკოლის შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების თანახამდ შეიზღუდა ,,გაკვეთილზე, არასასწავლო მიზნით, მობილური ტელეფონით, აუდიო და ვიდეო საშუალებებით სარგებლობა (მოსწავლე ვალდებულია სკოლაში გამოცხადებისას სასწავლო პროცესის დაწყების წინ მობილური ტელეფონი გამორთულ მდომარეობაში განათავსოს სპეციალურად მობილურების შესანახ ადგილას. მოსწავლეს უფლება აქვს დიდ შესვენებაზე დამრიგებელთან შეთანხმებით აიღოს ტელეფონი და ისარგებლოს, ხოლო შემდგომ დააბრუნოს იგი. დამრიგებელი უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, მობილურების დაბრუნებას მოსწავლეებისათვის).”*

- განმცხადებლის მიერ არაერთხელ არის ნახსენები მოსწავლეთა მიერ ტელეფონების ჩაბარების პროცესთან დაკავშირებული შემთხვევები. კერძოდ ნ.ს. აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი კლასის დამრიგებლის მიერ გამოითქვა ეჭვი მოსწავლის მიერ ნებაყოფლობით ჩაბარებული ტელეფონის ყუთიდან თვითნებურად ნივთის აღების შესახებ, რისთვისაც სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერის მიერ სკოლაში დაბარებული იყო მოსწავლის მშობელი. განმცხადებლის აღწერის თანახმად აღნიშნული ფაქტი კამერების გადამოწმებით არ დადასტურდა.

  ამასთან დაკავშირებით ვიზიტის დროს ადმინისტრაციის წარმომადგენელებმა აღნიშნეს, რომ ვიდეოკამერის მეშვეობით ასეთი ფაქტის გადამოწმება ვერ მოხერხდებოდა, რადგან ეს ყუთები განთავსებულია საკლასო ოთახებში, სადაც კანომდებლობის თანახმად ვიდეომონიტორინგის განხორციელება აკრძალულია. შესაბამისად ამ გარემოების მოკვლევას კამერებით ფიზიკურად ვერ გადაამოწმებდნენ.

- ადმინისტრაციულ მენეჯერთან დაძაბული ურთიერთთანამშრომლობის გამო, განმცხადებელი ითხოვდა სკოლის დირექტორთან შეხვედრას, მაგრამ სკოლის ადმინისტრაციის წევრები და განმცხადებელიც აფიქსირებენ, **ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორის ნაცვლად მის მეუღლესთან-ქართულ-ამერიკული სკოლის დირექტორთან ი.მ-თან შეხვედრის ფაქტს**. საგულისხმოა ის გარემოება, რომ დირექტორის მეუღლეს (ქ-ნ ი.მ) შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებით არ გააჩნია რაიმე ფორმის დელეგირებული უფლებამოსილება. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ ქ-ნ ი.მ-ის დიდი მცდელობის მიუხედავად სიტუაცია უკეთესობისკენ არ შეცვლილა, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ როგორც განცხადებაში, ასევე ინტერვიურებისას;

- ნ.ს. განცხადებაში აღნიშნავს მე-11 კლასელის მიერ სამი თანაკლასელისგან თავდაცვის მიზნით სკოლაში ცივი იარაღის მოტანის ფაქტს. განმცხადებელმა იმ მიზნით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლის დირექტორისთვის ცნობილი ყოფილიყო, დახმარებისთვის მიმართა სკოლის საერთაშორისო პროგრამის კოორდინატორს. როგორც ნ.ს-მ განაცხადა, იგი ითხოვდა სამსახურებრივი უფლებამოსილების სრულფასოვნად წარმოების შესაძლებლობას, რადგან თვლიდა, რომ სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერები ამის საშუალებას არ აძლევდნენ. ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ ი.ბ.-საერთაშორისო პროგრამების მენეჯერი არ იყო უფლებამოსილი გადაეწყვიტა მსგავსი საკითხი. აღნიშნული

დასტურდება სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტითაც. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორისა და იურისტის განცხადებით, განმცხადებელს საშუალება ჰქონდა ნებისმიერ საკითხზე ყოველ პარასკევს ენახა დირექტორი საჭირო ინფორმაციის გაზიარების მიზნით ან მიემართა წერილობით, რაც არ დაფიქსირებულა. თავად განმცხადებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, ი. ბ.-თვის უსაფრთხოებაზეც რომ შეეძლო მიმართვა, ცნობილი გახდა წლის დასაწყისში თათბირზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, **სკოლაში ყველა თანამშრომლის მიერ სათანადოდ არ იყო გათავისებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;**

- თავად მე-11 კლასელის ზემოთ აღწერილ ფაქტთან დაკავშირებით, როგორც განცხმადებელმა ექპერტებთან საუბარში აღნიშნა, სკოლას მასზე არანაირი რეაგირება არ გაუკეთებია კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა სკოლის ყველა წარმომადგენელმა ვიზიტის დღეს ცალსახად აღნიშნა, რომ ფაქტის აღმოჩენისთანავე დაუკავშირდენენ ,,112“-ს. ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებული შესაბამისი მტკიცებულებები, თუმცა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა;

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დისციპლინური წარმოების მასალები.

- სკოლის დირექტორის მოადგილესთან ვიდეოფაილების გაზიარების მეორე დღეს განმცხადებელმა ითხოვა კუთვნილი შვებულება (2025 წლის 17 ივნისიდან 19 ივლისამდე), რაზეც მან უარი მიიღო. სკოლამ განმცხადებლისგან 17 ივნისს წერილობით ითხოვა ახსნა-განმარტებები ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით. წერილი მას საქართველოს ფოსტით ჩაბარდა, რაზეც სკოლამ წარმოადგინა ჩაბარების დასტური. თუმცა სკოლის მოთხოვნა განმცხადებლის მიერ რეაგირების გარეშე დარჩა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა

1500	1298

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ 2025 წლის 19 აგვისტოს წარმოადგინა კორესპონდენცია (N03/42, ცენტრში რეგისტრაციის N1001144), დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სტანდარტთან/სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ხარვეზებთან დაკავშირებით. **ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია** შემდეგ ინდიკატორებთან დადგენილ ხარვეზებთან მიმართებაში. კერძოდ,

ინდიკატორი N 3.3.1.3.

დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი:

- სკოლის შინაგანაწესის 23-ე მუხლის 23.1 და 23.3. პუნქტებით დადგენილი მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილება წინააღმდეგობაში მოდის, სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების შესახებ დოკუმენტის მე-10 მუხლით განსაზღვრულ მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებთან;
- შიდა სასკოლო დოკუმენტებით განსაზღვრულია საჩივრის განხილვის ვადებთან დაკავშირებული ურთიერთსაწინააღმდეგო რეგულაციები.
- სკოლის შინაგანაწესის 23.5. პუნქტით დადგენილი რეგულაცია, გასაჩივრების ვადების დადგენის შესხაებ არ მოდის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.
- აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სკოლაში არ არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის გამართული/კანონშესაბამისი სისტემა.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი იქნა განახლებული სკოლის შინაგანაწესი, რომლის საფუძველზეც დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით ***სკოლის არგუმენტირებულ***

პოზიციას. ამრიგად, <u>ინდიკატორი N3.3.1.3, რომელიც სკოლის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „შეესაბამება“.</u>

ინდიკატორი N3.4.1.3.

დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი:

- სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების კითხვარი არ იძლევა მისი შემვსები პირის მიერ პრობლემის გადაწყვეტის გზების შეთავაზების შესაძლებლობას, კითხვარის ფორმა არ შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ შიდა რეგულაციას;
- სკოლა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, კერძოდ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც სკოლის ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს, დისციპლინური ზომის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს დარღვევის პრევენციას. სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, დასაქმებულისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება უნდა ხდებოდეს დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. რაც მოცემულ შემთხვევებში სკოლის მიერ არ არის უზრუნველყოფილი.

სკოლის მიერ <u>არგუმენტირებულ პოზიციასთან</u> ერთად წარმოდგენილი იქნა სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების განახლებული კითხვარი, სკოლის შინაგანაწესი, წარმოდგენილი კითხვარი და სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და სკოლის მიერ დადგენილ შიდა რეგულაციებთან. აქედან გამომდინარე,

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, შესაბამისად <u>ინდიკატორი N3.4.1.3. შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“.</u>

ინდიკატორი N3.4.1.6.

დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი:

- სკოლის მიერ დარღვეულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი ვალდებულებები, რომლის თანახმადაც ,,ვიდეომონიტორინგის სისტემა და ვიდეოჩანაწერები დაცული უნდა იყოს არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისგან. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს ვიდეოჩანაწერებზე წვდომის თითოეული შემთხვევის აღრიცხვა, მათ შორის, წვდომის დროისა და მომხმარებლის სახელის აღრიცხვა, რომელიც წვდომის განმახორციელებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა.“
- სკოლის მიერ არ არის სათანადოდ შეფასებული ინციდენტით გამოწვეული ზიანი, დამდგარი შედეგი, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის საფრთხის მასშტაბი და შესაძლო გავლენა. შესაბამისად სკოლას არ აქვს სათანადოდ დასაბუთებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეუტყობინებლობის საფუძვლები, რაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის კანონიერ ვალდებულებას წარმოადგენს, კერძოდ თუ ინციდენტი მაღალი ალბათობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ინციდენტის აღმოჩენიდან პირველი შესაძლებლობისთანავე, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში აცნობოს, როგორც მონაცემთა სუბიექტს, ისე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ინციდენტის შესახებ.

*სკოლის მიერ **არგუმენტირებულ პოზიციასთან** ერთად წარმოდგენილი იქნა პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერის ახსნა-განმარტება ინციდენტის ანგარიშის შესახებ, სადაც შეფასებულია ინციდენტით გამოწვეული ზიანი, დამდგარი შედეგი, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის საფრთხის მასშტაბი და შესაძლო გავლენა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დგინდება, რომ დამონტაჟდა ლოგირების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის გამოყენების დეტალურ აღრიცხვას. სკოლის აიტი მენეჯერს დაევალა ყოველი კვირის*

ბოლოს სამუშაო დღეს ლოგირების სისტემის მონიტორინგის განხორციელება, რათა მოხდეს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის სხვადასხვა ფუნქციის გამოყენების გადამოწმება, ადმინისტრაციულ მენეჯერს განესაზღვრა ვალდებულება, საჭიროების შემთხვევაში, ქმედების განმახორციელებელი პირისგან მოითხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტება, ფაქტის მიზეზის დასადგენად.

აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის უსაფრთხოებისა და გამჭვირვალობის გაძლიერებას, ასევე მისი გამოყენების პროცესში პასუხისმგებლობის გაზრდას.

*მოცემული ფაქტობრივი გარემოებების შედეგად, **ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად იქნა გაზიარებული არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი ინფორმაცია,** დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი N3.4.1.6. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.***

ინდიკატორი N.4.1.1.1

დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი:

- სკოლის მიერ არ არის განსაზღვრული, შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური სანქციის „მოსწავლისთვის სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება“ განხორციელების წესი და პირობები, მისი ხანგრძლივობა, უფლებამოსილი პირის ვინაობა, რომელიც უშუალო ზედამხედველობას გაუწევს მოსწავლის მიერ სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებას. მშობლის თანხმობის მიღების ფორმა და პროცედურა.“ სკოლის შინაგანაწესით დადგენილი რეგულაცია წინააღმდეგობაში მოდის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.
- სკოლის შინაგანაწესის 19.1. პუნქტით დადგენილია დისციპლინური სანქცია „საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ სკოლაში მოსწავლის დატოვება და დამატებითი დავალების მიცემა მშობლის წინასწარი გაფრთხილებით.“ ვინაიდან საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ მოსწავლის სკოლაში დატოვება, ბავშვს ართმევს დასვენების უფლებას, აჩენს სწავლასა და თავისუფალ დროს შორის დისბალანსის რისკებს, აღნიშნული დისციპლინური სანქცია, წინააღმდეგობაში მოდის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-18 მუხლით დადგენილ მოთხოვნასთან, რომლის თანახმადაც „ბავშვს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლასა და თავისუფალ დროს შორის ბალანსის დაცვა“.

- სკოლის შინაგანაწესის 20.4. პუნქტით განსაზღვრული პრევენციული და პროფილაქტიკური ღონისძიებების ერთ-ერთი სახე ,,მოსწავლისათვის სკოლის სერვისით (კომპიუტერული ქსელი, ექსკურსიები და სხვ.) სარგებლობის უფლების ჩამორთმევა (გარკვეული ვადით), არის არაგონივრული მოსწავლის უფლებების მზღუდავი ნორმა.
  აღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე სკოლის შიდა რეგულაციები აჩენს რისკს, დარღვეული იქნას მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, ამასთან დაუშვებელია შიდა სასკოლო რეგულირებით დადგენილი მიზნის მიღწევა განხორციელდეს მოსწავლის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.

*სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ იქნა განახლებული სკოლის შინაგანაწესი, წარმოდგენილი შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისად, **ინდიკატორი N.4.1.1.1, რომელიც სკოლის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება" შეიცვალა შეფასებით ,,შეესაბამება".***

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

V. რჩევები

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.4.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას*	*სკოლას მიეცა რჩევა დისციპლინური წარმოება წარმართოს იმგავარად რომ იდენტიფიცირებადი იყოს დისციპლინური გადაცდომით გამოწვეული დამდგარი შედეგის სიმძიმე, ვალდებულების დარღვევის მიზეზი, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა და სხვა ფაქტორები. დისციპლინური წარმოების ფარგლებში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება (დასაქმებულის ან/და მოსწავლის მიმართ დისციპლინური სანქციის დაკისრების ან/და დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ) დაასაბუთოს როგორც ფაქტობრივი, ასევე, სამართლებრივი კუთხით.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (III და IV სტანდარტები)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის ორგანზიაციულ მოწყობასთან და მკაფიოდაა განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლები. **ინდიკატორი 3.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, თუმცა განმცხადებლის (საჩივრის ავტორი) წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ცალკეულ შემთხვევაში ადგილი აქვს უფლებამოსილების გადაფარვის შემთხვევას, კერძოდ ადმინისტრაციულ მენეჯერთან დაძაბული ურთიერთთანამშრომლობის გამო, განმცხადებელი ითხოვდა სკოლის დირექტორთან შეხვედრას, მაგრამ სკოლის ადმინისტრაციის წევრები და განმცხადებელიც აფიქსირებენ, ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორის ნაცვლად მის მეუღლესთან-ქართულ-ამერიკული სკოლის დირექტორთან ი.მ-თან შეხვედრის ფაქტს. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ ქ-ნ ი.მ-ის დიდი მცდელობის მიუხედავად სიტუაცია უკეთესობისკენ არ შეცვლილა, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ როგორც განცხადებაში, ასევე ინტერვიურებისას.

სკოლის ეფექტიანი ფუნქციონირება და მდგრადი განვითარება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ორგანიზაციული სტრუქტურა.

ორგანიზაციული სტრუქტურა, შეიძლება შეფასდეს, როგორც სკოლის შიდა არქიტექტურა, რომელიც განსაზღვრავს როგორ გადანაწილდება ფუნქციები, პასუხისმგებლობები და ამოცანები სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს

შორის. ეს არის ფუნდამენტური ჩარჩო, რომელიც აყალიბებს ორგანიზაციის მუშაობის პრინციპებს და უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას სხვადასხვა რგოლებს შორის.

სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევა, რომელიც ეხებოდა სკოლის ორგანიზაციული მოწყობის, პასუხისმგებელი პირების უფლებამოსილებების შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. სკოლას არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული აქვს, რომ ,,აღნიშნული საკითხი სრულად გააზრებულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ და ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯია გადადგმული. კერძოდ, სკოლას აქვს თანამშრომლების ინფორმირების მექანიზმები, დანერგილია რეგულარული შეხვედრები ორგანიზაციული სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების საკითხებზე, ასევე განსაზღვრულია თითოეული პოზიციის ფუნქციური ვალდებულებები წერილობითი ფორმით და სტრუქტურა საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი 3.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დამდგენი დოკუმენტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის თაობასთან დაკავშირებული საკითხები მოცემულია სკოლის შინაგანაწესში (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ, ბრძანება N27 01.11.2024).

საჩივრის განხილვასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს ასევე არეგულირებს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი".

სკოლის შინაგანაწესით მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მასწავლებელს უფლება აქვს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივროს სკოლის უკანონო ქმედებები სკოლის წესდებითა და შინაგანაწესით დადგენილი წესით.

სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების შესახებ დოკუმენტის (წესი შეთანხმებულია: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან 26/11/2019 MES 1 19 0161626) მე-10 მუხლით, რომლის თანახმადაც მრჩეველთა საბჭო იქმნება სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით. მრჩეველთა საბჭოს უფლება-მოვალეობაა, შეაფასოს რისკები და მის შესამცირებლად გასცეს რეკომენდაციები უსაფრთხოების კომპონენტის ნაწილში.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი სკოლის შინაგანაწესი, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ინდიკატორი 3.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლას პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სკოლის პერსონალის მოსწავლის და მოსწავლის მშობლის კანონიერი უფლებები და მოვალეობები. დოკუმენტში მოცემულია სამოქმედო გეგმა, რომლშიც გაწერილია კონკრეტული მექანიზმები მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის ერთ-ერთ უფლებამოსილებას წარმოადგენს მიმართოს სკოლის დირექტორს მოსწავლეთა/კანონიერ წარმომადგენელთა საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ორგანიზების მოთხოვნით.

სკოლამ გაიზიარა დასკვნის პროექტში გაცემული რჩევა, რომელიც ეხებოდა მოსწავლეთა უფლებების დაცვის ეფექტური კონტროლისა და პრევენციის მიმართულებით, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის საფუძველზე მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის შექმნას. ასევე სკოლის მიერ გაზიარებული იქნა რჩევა, რომელიც ეხებოდა ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის, შესაბამისი შიდა რეგულაციების შემუშავებას, კერძოდ სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი ინფორმაციით დგინდება, რომ სკოლამ შექმნა მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისია, რომელიც საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დარღვევის ფაქტებზე დროულ და სათანადო რეაგირებას.

სკოლამ ცალკე დოკუმენტის სახით დაამტკიცა სკოლის ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი 3.3.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;

- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი;
- 2025 წლის 15 აგვისტოს ბრძანება № 01/ს - 18 შინაგანაწესში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- 2025 წლის 15 აგვისტოს ბრძანება № 01/ს - 21 მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ;
- მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის დებულება (ბრძანება N 01/ს-20 15.08.2025);
- ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა (ბრძანება N 01/ს-19 15.08.2025).

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული აქვს ,,სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. სკოლის მიერ არგუმენტირებულ

პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია კითხვარის ფორმა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. კითხვარის მიზანია დადგინდეს რამდენად დაცულია სკოლაში უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი. აღნიშნულ გამოკითხვაში მონაწილე პირებს შესაძლებლობა აქვთ, ათქულიანი სისტემით შეაფასონ ცალკეული საკითხები, კითხვარი იძლევა მონაწილეთა აზრის დაფიქსირების შესაძლებლობას.

,,სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ მე-6 მუხლის თანახმად:

,,1. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით, ანონიმურობის დაცვით.

2. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების კითხვარი (შემდგომში – შეფასების კითხვარი) უნდა იძლეოდეს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი შემვსები პირის მიერ პრობლემის გადაწყვეტის გზების შეთავაზების შესაძლებლობას.“

,,სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ მე-7 მუხლის თანახმად:

ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციასა და ძალადობის განმეორების საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით, სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ განახორციელოს ძალადობის რისკების შეფასება მოსწავლეებში და მასწავლებლებში.

სკოლის მიერ გაზიარებული იქნა, დასკვნის პროექტში გაცემული რჩევა, რომელიც ეხებოდა ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციასა და ძალადობის განმეორების საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით, რისკების სათანდო შეფასებას და მის შესამცირებლად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას, კერძოდ **არგუმენტირებულ პოზიციასთან** ერთად წარმოდგენილი ინფორმაციით დგინდება, რომ სკოლამ შეიმუშავა რისკების შეფასების მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს ძალადობის პრევენციას ადრეულ ეტაპზე და ძალადობის განმეორების საფრთხეების დროულ იდენტიფიცირებას. სკოლის მიერ არსებული პრაქტიკის ფარგლებში, იდენტიფიცირებული რისკების საფუძველზე განხორციელებულია შესაბამისი ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შენარჩუნებას.

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სასკოლო დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა.

სასკოლო დისციპლინა არის დადგენილი წესი, რომელიც განსაზღვრავს წესრიგს სკოლაში, რათა წარმატებულად ჩატარდეს საგაკვეთილო პროცესი და სხვა სასკოლო-საგანმანათლებლო ღონისძიებები.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილი დისციპლინური წარმოების მასალები, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ დასაქმებულთა მიერ წარდგენილი ახსნა-განმარტების საფუძველზე სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით გამოყენებულია დისციპლინური სანქციის სხვადასხვა ზომა.

სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები დისციპლინური სანქციის გამოყენების შესახებ არ შეიცავს დასაბუთებას, კერძოდ არ არის შეფასებული მხარეთა მოსაზრება, წარმოდგენილი მტკიცებულებები, **გადაწყვეტილება მიღებულია სამართლიანი განხილვის გარეშე**. მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას ახდენს სკოლის პერსონალის და სასკოლო საზოგადოების უფლებებზე, ჯეროვნად დასაბუთებული იყოს.

წარმოდგენილ საჩივარში დაფიქსირებულ ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენს სკოლაში მოსწავლის მიერ ცივი იარაღის შეტანის ფაქტი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხსენებულ შემთხვევას მართლაც ჰქონდა სკოლაში ადგილი, რის თაობაზეც მიმართეს სამართალდამცავ ორგანოს, სკოლის განმარტებით ინციდენტში მონაწილე მოსწავლე ამჟამად სკოლაში არ სწავლობს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა სკოლის მიერ გატარებული შიდა სასკოლო მოკვლევასთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც სკოლის მიერ მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში არ იქნა მოწოდებული.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დისციპლინური წარმოების მასალები, რომლის თანახმადაც დგინდება, რომ სკოლას მიმართულია აქვს სამართალდამცავი ორგანოებისათვის და მოსწავლის მიმართ გამოყენებული აქვს დისციპლინური სანქცია ,,სკოლიდან დროებით დათხოვნა“.

სკოლას მიეცა <u>რჩევა</u> დისციპლინური წარმოება წარმართოს იმგავარად რომ იდენტიფიცირებადი იყოს დისციპლინური გადაცდომით გამოწვეული დამდგარი შედეგის სიმძიმე, ვალდებულების დარღვევის მიზეზი, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა და სხვა ფაქტორები. დისციპლინური წარმოების ფარგლებში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება (დასაქმებულის ან/და მოსწავლის მიმართ დისციპლინური სანქციის დაკისრების ან/და დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ) დაასაბუთოს როგორც ფაქტობრივი, ასევე, სამართლებრივი კუთხით. ინდიკატორი 3.4.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ცალკეულ შემთხვევაში სკოლამ სათანადოდ ვერ უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ჯეროვანი პროცედურების გამოყენებით, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული შემთხვევების გავლენა არ არის იმ მასშტაბის, რომ სასკოლო გარემო შეფასდეს ფსიქოლოგიურად და ემოციურად საფრთხის შემცველად, თუმცა არსებობს სკოლის წინაშე გამოწვევები, რაც სათანადო მმართველობითი ღონისძიებების განხორციელებით შეიძლება იქნეს დადებითად გადაწყვეტილი.

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა აწარმოებს სასკოლო საზოგადოების პერიოდულ გამოკითხვას, რის საფუძველზეც გეგმავს საპასუხო ღონისძიებებს. **ინდიკატორი 3.4.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

დოკუმენტის მე-10 მუხლი ადგენს მონაცემების დაცვას ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, რომლის თანახმადაც პირთა უსაფრთხოების, საკუთრების დაცვის, ასევე, მოსწავლეების მავნე ზეგავლენისგან დაცვის და გამოცდის/ეროვნული ოლიმპიადების მიზნებისთვის (ეს უკანასკნელი, საჭიროების შემთხვევაში), სკოლის შენობებში ხორციელდება შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომონიტორინგი.

სკოლის მიერ წარმოდგენილია 16.06.2025 წლით დათარიღებული ინციდენტის ანგარიში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, სადაც მითითებულია, რომ ,,2025 წლის 16 ივნისს, სკოლის ტერიტორიაზე დაფიქსირდა შემთხვევა, რომელიც შესაძლოა შეაფასდეს როგორც პერსონალური მონაცემების დაცვის წესების დარღვევა. სკოლის **ერთ-ერთმა თანამშრომელმა (საჩივრის ავტორი),** ადმინისტრაციის წინასწარი თანხმობის და შესაბამისი პირების ინფორმირების გარეშე, მობილური

ტელეფონის კამერით **გადაიღო ვიდეოჩანაწერი,** გადაღება განხორციელდა სკოლის დერეფანში, სადაც იმყოფებოდნენ სკოლის მოსწავლეები და პერსონალი.

აღნიშნული ქმედების დროს მოსწავლეები და თანამშრომლები არ იყვნენ ინფორმირებული იმ ფაქტის შესახებ, რომ მათ ვიდეოკამერით იღებდნენ, რაც არღვევს ინფორმირებულობისა და გამჭვირვალობის პრინციპს. ვიდეოფაილი არ გავრცელებულა და არ გადასულა მესამე პირებზე, აღნიშნული ჩანაწერი მხოლოდ სკოლის დირექტორის მოადგილემ ნახა შიდა გამოძიების ფარგლებში."

ინციდენტის შესახებ, როგორც ანგარიშშია აღნიშნული, ეცნობა მონაცემთა სუბიექტს.

სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი იქნა პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის ახსნა-განმარტება ინციდენტის ანგარიშის შესახებ, სადაც შეფასებულია ინციდენტით გამოწვეული ზიანი, დამდგარი შედეგი, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის საფრთხის მასშტაბი და შესაძლო გავლენა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დგინდება, რომ დამონტაჟდა ლოგირების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის გამოყენების დეტალურ აღრიცხვას. სკოლის აიტი მენეჯერს დაევალა ყოველი კვირის ბოლოს სამუშაო დღეს ლოგირების სისტემის მონიტორინგის განხორციელება, რათა მოხდეს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის სხვადასხვა ფუნქციის გამოყენების გადამოწმება, ადმინისტრაციულ მენეჯერს განესაზღვრა ვალდებულება, საჭიროების შემთხვევაში, ქმედების განმახორციელებელი პირისგან მოითხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტება, ფაქტის მიზეზის დასადგენად.

აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის უსაფრთხოებისა და გამჭვირვალობის გაძლიერებას, ასევე მისი გამოყენების პროცესში პასუხისმგებლობის გაზრდას.

მოცემული ფაქტობრივი გარემოებების შედეგად, **<u>ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად იქნა გაზიარებული არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი ინფორმაცია, დოკუმენტაცია.</u> ინდიკატორი 3.4.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, განხორციელებული აქვს მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასება, განსაზღვრული ჰყავს პეროსნალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. აღნიშნული

მექანიზმების სათანადოდ დანერგვისა და მმართველობითი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სკოლის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვა.

სკოლის მიერ გაზიარებული იქნა დასკვნის პროექტში გაცემული <u>რჩევა</u>, როემლიც ეხებოდა მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღებას, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან. **ინდიკატორი 3.4.1.7. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. სკოლის მიერ წარმოდგენილია მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები.

სკოლის მიერ შემუშავებული ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მრჩეველთა საბჭო ,,განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.“

მრჩეველთა საბჭოს 2024 წლის 01 სექტემბრის N1 სხდომის ოქმით, გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც ეხება სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

წარმოდგენილია სკოლის დირექტორის ანგარიში 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

სასკოლო დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით არსებული შიდა სასკოლო რეგულაციების მიზანს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა. **ინდიკატორი 3.4.1.8. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“;;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პეროსნალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის დისციპლინური წარმოების მასალები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინციდენტის ანგარიში;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შრომითი ხელშეკრულება;
- მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ახსნა-განმარტება ინციდენტის ანგარიშის შესახებ (13.8.2025);
- 2025 წლის 15 აგვისტოს ბრძანება № 01/ს - 18 შინაგანაწესში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებში (თანამდებობრივ ინსტრუქციებში) ცვლილების შეტანის შესახებ 2025 წლის 8 აგვისტოს ბრძანება N01/ს-16;
- ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ შესახებ 2025 წლის 8 აგვისტოს ბრძანება N01/ს-17;
- IT მენეჯერის ანგარიში (მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების თაობაზე)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, ბავშვთა უფლებების დაცვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, სკოლაში საჩივრის/განცხადების განხილვის წესი. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი.

სკოლამ **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლის შინაგანაწესი, რომელიც იძლევა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის საშუალებას. ინდიკატორი 4.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციით და დოკუმენტაციით დგინდება, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობისა და გაზიარების მიზნით განხორციელებულია შესაბამისი ღონიძიებები.

სკოლამ გაიზიარა დასკვნის პროექტში გაცემული რჩევა, რომელიც ეხებოდა სკოლის ტერიტორიაზე მობილური ტელეფონის გამოყენებასთან დაკავშირებით რეგულაციის გამჭვირვალობას, მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ სკოლის შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების თანახამდ შეიზღუდა ,,გაკვეთილზე, არასასწავლო მიზნით, მობილური ტელეფონით, აუდიო და ვიდეო საშუალებებით სარგებლობა (მოსწავლე ვალდებულია სკოლაში გამოცხადებისას სასწავლო პროცესის დაწყების წინ მობილური ტელეფონი გამორთულ მდომარეობაში განათავსოს სპეციალურად

მობილურების შესანახ ადგილას. მოსწავლეს უფლება აქვს დიდ შესვენებაზე დამრიგებელთან შეთანხმებით აიღოს ტელეფონი და ისარგებლოს, ხოლო შემდგომ დააბრუნოს იგი. დამრიგებელი უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, მობილურების დაბრუნებას მოსწავლეებისათვის).” **ინდიკატორი 4.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა მოსწავლის მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა რომელიც შესაბამისობაშია სკოლის შიდა რეგულაციასთან. სკოლის მიერ გაზიარებული იქნა დასკვნის პროექტში გაცემული რჩევა, როემლიც ეხებოდა, მოსწავლისათვის მობილური ტელეფონით სარგებლობის წესს და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ საფუძვლებს. **ინდიკატორი 4.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- 2025 წლის 15 აგვისტოს ბრძანება № 01/ს - 18 შინაგანაწესში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ბავშვთა უფლებების დაცვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლაში საჩივრის/განცხადების განხილვის წესი;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი;
- ხელშეკრულების ფორმა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 27.08. 2025წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: